

საქართველო



რესპუბლიკა

მთავრობის მთავარი, უფროსი განყოფილება

(ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ლირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველაგან 2 მანეთი. მე-მ ცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. გან- გვერდზე 3 მ. სამკლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ. ზომისა 80 მ. 1 იანვარ, გაზ. ნისილდ არაფრის განცხადება. რედაქციის კანტორის მისა- მართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1-82.

სახელმწიფო თეატრი

აპერა ხ. ა. ევლანოვიჩის ხელმძღვანელობით.

სადღესასწაულო რეპერტუარი

სუთშაბათს, იანვრის 8-ს, დილით **გენერალი ბრეშევი**. (ვანო შაშვილი). საღამოს ოცი წუთ. **პიკის ქალი**. (ვანო შაშვილი). იანვრის 9-ს, დილით **კარგენი**. (ვანო შაშვილი). საღამოს **კოვანის ზღაპრები**. (ვანო შაშვილი). იანვრის 10-ს, ოპერა მუსიკისთვის „გამბაზები“ და ბალეტი. კვირას დილით „გენერალი ბრეშევი“. საღამოს დილით კორპორაციის ბენეფისი—„დუბროვსკი“.

საქართველოს სასრანსკორ-სო საზოგადოების გაგეგმვა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია თბილისში, ამა იანვრის 14 ს, საღამოს 7 საათზე, სასრანსკორ ნიღობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 6).

თიანეთის საგარეო პროვის გაგეგმვა

იწვევს გამოცდილ სამართალსა და სერობო ექიმს თვეში 9000 მანეთი დღიურებიანთ, ორ ექიმს ამბულატორიისათვის თიანეთში და ხევისურთა სოფელში 6000 მან. თითო, აგრეთვე ნომს (უმადლეს სწავლა დამთავრებულს) 5000 მან. აგრეთვე (საშუალო განათლებით) 4000 მანეთი სერობო ტენიქს 4500 მან., მის თანაშემწეს 4000 მან. მასწავლებლებს 15 იანვრიდან თვეში 2300 მან. საჭიროა აგრეთვე სკოლის ფერშეები და ბები ფერშეები თვეში 4000 მანეთი, ხოლო დამფუძნებელი კორპორაციის მდიანობის გაგეგმვაში.

მოგარაგების საინსტრუქცი

ამით აცხადებს, რომ რეგისტრაციის შესახებ საინსტრუქციის დადგენილების თანახმად ყველა ნებართვები რეპუბლიკის საზღვრებიდან—თუთუნის, მატყლის, შავი ქვის და ტყის მასალის გატანის შესახებ, რომელიც რეგისტრაციისთვის 25 დეკ. წ.წ. არ იქნენ წარმოდგენილი—გაუქმებულია ითვლებიან.

გამოვიდა და იყიდება

შთავარ საწყობში: ტფილისი, დიდი მთავრის ქუჩა № 70, პოლიტექნიკური ხასწავლებელი. საჭარბოვლო ტენიკური საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ შედგენილი

რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი

რომელიც შეიცავს უმთავრეს ტერმინებს მათემატიკიდან, ფიზიკიდან, მეხანიკიდან, ქიმიიდან, მინერალოგიიდან, გეოლოგიიდან, არტელრიიდან და ტენიკიდან. საშეგარდენო ტერმინოლოგიის დამატებით ფასი 100 მან. აქვე იყიდება: ინჟ. ვ. მ. კაკაბაძე, მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში—ფასი 15 მან. ინჟ. ბ. ა. კიკინაძე, პირველადი წყაროთი პრაქტიკული ჰიდროლოგია (სახელმძღვანელო და სავსელო წიგნაკი). ფასი 25 მან. ინჟ. ი. ა. კიშიდაე. Краткія свѣдѣнія о горныхъ богатствахъ грузіи, цѣна 10 руб.

შ ს ა ს ი.

ს ა მ მ რ ი გ ე ბ ლ ო ყ რ ი ლ ო ბ ა თ ა .

| წ. ნომერი | თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარ. | ჯისა. | მდგომარეობის თვისობები | 40 % და-ზარება. | უ ნ დ ა მ ი ე ც ე თ . | | | | | |
|--|---|---|------------------------|-----------------|-----------------------|---------|------------|---------|---------|---------|
| | | | | | ო ვ ე შ ი . | | წელიწადში. | | | |
| | | | | | ერთს. | შველას. | ერთს. | შველას. | | |
| 1 | პირადი შედგენილობის შენახვა. | | | | | | | | | |
| | თავმჯდომარე | | 2020 | — | 11 | 5000 | 55000 | 60000 | 660000 | |
| | მდივანი | | 1800 | — | 11 | 2500 | 27500 | 30000 | 330000 | |
| | მდივნის თანაშემწე (ქ. ტფილისის ყრილობაში 2) | | 1100 | — | 12 | 2000 | 24000 | 24000 | 288000 | |
| | თარჯიმანი (ქ. ტფილისის ყრილობაში 2) | | 1050 | — | 12 | 2000 | 24000 | 24000 | 288000 | |
| | ბოქაული | | 1200 | — | 11 | 1800 | 19800 | 21600 | 237600 | |
| | 1 მუხლის ჯამი | | | | | | 13300 | 150300 | 159600 | 1803600 |
| | 2 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი. | | | | | | | | |
| | | გადამწერი ქ. ტფილისისა და ტფილისის მაზრის ყრილობათა | | 925 | 370 | 5 | 1295 | 6475 | 15540 | 77700 |
| | | ქ. ქუთაისისა, ფოთისა და სოხუმისა | | 825 | 330 | 6 | 1155 | 6930 | 13860 | 83160 |
| რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | | | 775 | 310 | 12 | 1085 | 13020 | 18020 | 158240 | |
| მანქანით გადამწერი ქ. ტფილისისა და ტფილისის მაზრის ყრილობათა | | | 925 | 370 | 2 | 1295 | 2590 | 15540 | 31080 | |
| მანქანით გადამწერი ქ. ქუთაისისა, ფოთისა და სოხუმისა | | | 825 | 330 | 3 | 1155 | 3465 | 13860 | 41580 | |
| რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | | | 775 | 310 | 6 | 1085 | 6510 | 13020 | 78120 | |
| მსახური ქ. ტფილისისა და ტფილისის მაზრის ყრილობათა | | | 875 | 350 | 2 | 1225 | 2450 | 14700 | 29400 | |
| ქუთაისისა, ფოთისა და სოხუმისა | | | 775 | 310 | 3 | 1085 | 3255 | 13020 | 39060 | |
| რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | | | 725 | 290 | 6 | 1015 | 6090 | 12180 | 73080 | |
| გზირი ქ. ტფილისისა და ტფილისის მაზრის ყრილობათა | | 875 | 350 | 2 | 1225 | 2450 | 14700 | 29400 | | |
| ქუთაისისა, ფოთისა და სოხუმისა | | 775 | 310 | 3 | 1085 | 3255 | 13020 | 39060 | | |
| რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | | 725 | 290 | 6 | 1015 | 6090 | 12180 | 72080 | | |
| საწერ მასალისათვის | | — | — | 11 | 1000 | 11000 | 12000 | 132000 | | |
| ბინების დაქირავება, გათბობა-განათება | | — | — | 9 | 800 | 7200 | 9600 | 86000 | | |
| იგივე ტფილისის სამართალსათვის | | — | — | 1 | 1200 | 1200 | 14400 | 14400 | | |
| მე-2 ე მუხლის ჯამი | | | | | | 16720 | 81980 | 200640 | 988760 | |
| 3 | საგზაო და დღიური ხარჯი. | | | | | | | | | |
| | ქ. ტფილისის ყრილობისა | | — | — | 1 | 500 | 500 | 6000 | 6000 | |
| | დანარჩენ ყრილობათა | | — | — | 10 | 10000 | 100000 | 120000 | 1200000 | |
| | მე-3 ე მუხლის ჯამი | | | | | | 10500 | 100500 | 126000 | 1206000 |
| მე-6 ე მუხლის ჯამი | | | | | | 40520 | 332780 | 486240 | 3993360 | |

1919 წ. დეკემბრის 9-ს. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ხ. მდივანი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი.

არაოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

23 დეკემბრის სხდომა.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნ. ჟორდანი; მინისტრები—ბ. ნინი კანდელაკი, ხომერიკი, ერადე, რამიშვილი; სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი—ბ. ნინი ანდრონიკაშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ. ნინი გედევანიშვილი, ბახტაძე, ქარცივაძე, ქიქნაძე, ცინცაძე, ავალიანი, გელეიშვილი; დეპარტამენტის დირექტორი—გ. ჟორდანი; საქმეთა მმართველი; მდივანი—ლ. ლომთაძე.

თანამდებობიდან განთავისუფლება.

გ. ი. არდიშვილი განთავისუფლებულ იქმნას სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობის წევრის თანამდებობიდან, თანახმად თხოვნისა.

გასატან თამბაქოზე გადასახადის მოხსნა.

აფხაზეთის კომისარიატის მიერ დაწესებული გადასახადი გასატან თამბაქოზე იმერიიდან არ იქნენ აკრედიტი, ვინაიდან ის (გადასახადი) არ არის დამტკიცებული საქონლმდებლო წესით.

ტყვეების ჩამოართმევის შესახებ.

1) ის პირნი, რომელნიც 2 კვირის განმავლობაში, დღიდან ამ დღეებში გამოქვეყნებისა, გამოუცხადებენ ადგილობრივ სამხედრო ან ადმინისტრაციის ორგანოებს, რომ მათ აქვთ და კიდევაც წარმოადგენენ სხვადასხვა სახეობის ნაწილებსათვის საჭირო პატრონებს, მიიღებენ თითო პატრონაში 2 მანეთს.

2) ორი კვირის შემდეგ ამ დღეებში გამოქვეყნებისა, ის პირნი, რომელნიც უჩვენებენ, რომ ვისმეს აქვს შემოსუნილი პატრონები და მართლაც უპატიურად აღმოჩნდება, მიიღებენ თითო პატრონაში ორ მანეთს; 3) ამ დღეებში პირველ მუხლში ნაჩვენები ვადის გათავისუფლება თუ ვისმეს აღმოჩნდა პატრონები, ის, პატრონების უფასოთ კონფისკაციის გარდა, დასჯილი იქნება ადმინისტრაციული წესით 3 დღიდან 3 თვემდე ციხეში დატყუალებით.

ზემო აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს სამხედრო სამინისტროს მიერ, როგორც მთავრობის სავალდებულო დადგენილება.

თხოვნები სასჯელის პატივის შესახებ

უწყრადებოდ იქმნა დატოვებული ა. გრ. გიგინავის, ეკატერინე კვალაიშვილის, ე. სტ. დიდიშვილის, კ. გრ. მალაფერის, ე. სირადის, ნ. ბ. ჭყონის, ბაირამ ყარაჯა-ოღლის, ბ. ი. კალანდარის და ერ. გრ. თოლორდავას თხოვნები სასამართლოს განაჩენებით მათთვის გადაწყვეტილ სასჯელის პატივის შესახებ.

ერ. გ. კეთილაძეს ქუთ. სასამართლოს 1918 წ. დეკემბრის 25-ს განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს ერთი წლის ციხით უფლებების აყრით.

თანამდებობიდან განთავისუფლება.

გ. დ. სიღამონ ერისთავი განთავისუფლებულ იქმნას სოხუმის სავანგებო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან.

დამხარება სახადისაგან გარდაცვალებულ ექიმის მამას.

გადიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 15,000 მან. 10 მილ. ფონდიდან ექიმის მამის ბრძოლის დროს პარტახტიან სახადით გარდაცვალებულ ექიმ ნიკოლოზ სულ. ლაღობერიძის მამისათვის მისაცემით.

სესი შავი ქვეს მრეწველთა საბჭოს.

ქიათურის შავი ქვეს მრეწველთა საბჭოს მიეცეს სესხით 360,000 მან. (4 თვისათვის) 6 პროცენტთან სარგებლის გადახდით. სათანადო დეკრეტის შედგენა, დამფუძნებელ კრებაში წარსადგენათ დეველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

წიგნები რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვთათვის.

გადაიღოს გზათა დემარტამენტის განკარგულებაში 26.310 მან. 10 მილიონი ფონდის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შვილებისთვის სასწავლო წიგნებისა და რეკონსტრუქციის უფასოთ დაიბეჭდოს გამო დახარჯულ თანხის დასაფარავათ.

გზათა სამმართველოს ხარჯები.

გზათა მინისტრის მოხსენება მიღებულ იქნას და გზატკეცილების სამმართველოს განკარგულებაში გადაიღოს 1.790.000 მ. დეკემბრიდან მთავის განმეგობებაში კუთვნილ თანხის ანგარიშში.

იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის სამინისტროსთან ახლად დაარსებულ ქართულ ენის კურსების მამენტებში შემდეგი დეპრეზი მიმართეს:

იუსტიციის მინისტრს გვგვქორს.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ ქართულ ენის კურსების მამენტთა პირველი საერთო კრება 60 კაცის შემადგენლობით ორივე სქესის და სხვა და სხვა ერთობეზებათაგან, აღფრთოვანებული გულწრფელი სურვილით სახელმწიფო ენის შესწავლის საშუალებით შემდეგშია ემსახუროს შეძლებისდაგვარად სამართლის განმტკიცებას ახალგაზდა დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თქვენის სახით ულოცავს სამშობლოს სასამართლოს მეთაურს, რომლის მეთაურადაც გისურვებთ გზედვლით დიდხანს დემოკრატიულ რესპუბლიკის სასამართლოს სასარგებლოდ და მხურვალედ გამოდლოთ მონაწილეობისა და გახსნილ კურსების საქართველოში ყურადღებით მოპყრობისათვის. სასამართლოს მინისტრატურის და ადვოკატურის პირთა კურსების მონაწილეობით ნათელი ვეჭლი შერმანი.

გემი „მარია“ გაძარცვის გამოძიება.

ქუთაისის პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ პროკურორის ამბანაგმა გაბუნებამ დაამთავრა გემი „მარია“ გაძარცვის საბრალმდებლო ოქმის შედგენა და საქმე გადაეცა საგანგებო სასამართლოს.

პატარა შანიშვაძი.

დაუშუშავებელი მიწება.

მართალია, საქართველოში მიწის სიციფროვე არის, მაგრამ განა დაუშუშავებულა ის მიწა, რაც მოგვეპოვება?

გავიძახით ყოველი ფხას გადადამაზე მიწის სიმციროზე და ამავე დროს აურებელი მიწა გვჩება დაუშუშავებელი.

და რასაც ვაშუშავებთ, განა შეიძლება მას დაუშუშავება ვეწოდოთ? მეურნეობის გაუჯობესებაზე ფიქრი და მეცადინეობა თავის თავად ცხადია, შეუჩერებელი უნდა სწარმოებდეს, მაგრამ ენა უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება იმ ცალიერ ადგილებს, რომლებიც ყოველწლოვან დაუშუშავებელი გვჩება.

რომ ამას შევძლებდეთ, დარწმუნებული ვართ, თუ ვერ მოვსობდით სასურსათო კრიზისს, დიდდ შევანელებდით მიწა აქ იმაზე ფიქრი ხან თქმა, რომ გაუჯობესებულ მიწის სამუშაო იარაღს ვიშოვნით და შემდეგ დაეთესავ დავაშუშავებთ, უმიზნაა. დღეს საქართველოში მუშაობა თობით, ბარით, ნიჩბით, წალკატით, ერთ სიტყვით, ყველაფრით, რაც კი ხელში მოგვევება...

უნდა იმუშაოს დღეში, პატარამ, ქალმა, კაცმა!

სასურსათო კრიზისის მიზეზი, სხვათა შორის, დღეს ისიც არის, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ხალხია დაბანდებული მხოლოდ განაწილებით. საზოგადოებას მცირე ნაწილი შრომობს, ქმნის დოვლათს, უძრავს სკამს მხოლოდ. თუ ასე გავრავლოთ მდგომარეობა, დაბოლოს სრულ კატასტროფამდე მივალწევთ.

ამიტომ ყველამ უნდა სავალდებულოთ გაიხადოს შრომა, შრომა რაიმე ღირებულების შემქნელი, სხვა გამოსავალი გზა არ არის.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია სავალდებულოთ გახადოს ცარიელი ადგილების დათქვა, დაუშუშავება. ჩინებული აზრია, მაგრამ ერთ მოვლენას უნდა მიექცეს ყურადღება: ჩვენ საზოგადოთ ბევრი გვიყვარს ლაპარაკი, პროექტები, წინადადებები, —როცა საქმეში მივდგებით, —ოცა ვაქებთ.

ამ შემთხვევაში ეს ცული ჩვეულება უნდა იქნას დაძლეული. სამინისტროს დადგენილებაც რომ არ იყოს, განა სოფელი, მზრა თითონ არ უნდა ურუნავდეს? ამაზე დღემდე ჩვენ ცოტას ვწომოდით, არ ვცდილობდით ჩვენს შრომას მაქსიმუმი ნაყოფი გამოეღო. დღეს ეს აღარ გვარგებს.

ახლავ უნდა შესდგეს სოფლებში არტელეზი, ჯვრები. ამ ზამთარშივე უნდა მოინახოს, გაიწმინდოს გაზაფხულზე დასათვის მიწები. გაზაფხულზე ქალი, კაცი, ხარა, ცხენი ყველანი მუშაობას უნდა შეუდგნენ. სიმინდისა და პურის გარდა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კაროთფალის მოყვანას. ბევრი კართოფლის მოყვანა შეიძლება ჩვენში, მაგრამ დღემდე ამას ყურადღებას არ ვაქცევდით.

აგრეთვე ახლავ უნდა იქნას მიღებული ზომები ხლის განსახობის ქარხნების მოსაწყობათ. განმარხილთან პურული ცოტა იქნება საქარო მოსტენობა? თავი უნდა დანებონ ზოგერთ კუახებში მამაკაცებმა იმ აზრს, თათქოს მოსტენობა მხოლოდ ქალს საქმეა.

მცირე მნიშვნელობა არ ექნება ხელმოქმედებით, დაზოგვით ცხოვრებას. თუ ეს პირობები შეუძლებელი იქნება, მომავალში მდგომარეობა ჩვენი სურსათის მხრით უზრუნველყოფილია.

სოფლის თემებს, სამაზრო ერობებს ახლა სჭირდებათ დაფარვა. რაც აღრე მოპკიდებენ ხელს ამ საქმეს მით უკეთესი.

ერობებს ჩვენის აზრით არც ტფილისის თვითმართველობა უნდა ჩამორჩეს. ბევრი ადგილებია ტფილისის გარე უბნებში დაუთესავი, დაუშუშავებელი ყოველ წლივ. სხვას რომ თავი დავენებოთ, განა ცოტა კართოფლის მოყვანა შეიძლება ამ მიწებზე? მუშა ხელიც ცოტა არ მოიპოვება ტფილისში... საქმე ბრკობდება მხოლოდ მოუწყობლობით. შრომა, შრომა და შრომა. აი, რა უნდა გახდეს ყოველი მოქალაქის დევიზად! შრომა ნებაყოფლობითი, შრომა იძულებითი...

თ ე შ ი.

(ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფია).

I.

საერობო წვრილ ერთეულს დღეს საქართველოში „თემს“ უწოდებენ. ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული წესწყობილება ამ ორგანიზაციას ეყრდნობა: საერობო თემი საქართველოს რესპუბლიკის საძირკველია.

ისტორიიდან ვიცით, რომ თემი სხვა დროშიც არსებულა. „თემი“, „თემობა“ სხვა ისტორიულ ხანაშიც სცნობდა.

ჩვენი მიზანია შევადაროთ უწინდელი და ეხლანდელი თემი, აღმოვაჩინოთ რა არის ამ ორ სხვა და სხვა დროის ორგანიზაციებში საერთო და რითი გაიარება ერთი მეორისაგან. მასალად გამოვიყენებთ როგორც ისტორიულ, ისე ლიტერატურულ საბუთებს.

ა.

ჩვენი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „საგამაგო ერთეულის სახელად ქართულ მწერლობაში სიტყვა „თემიც“ იხმარებოდა; როგორც ეტყობა ეს სიტყვა „დაახლოვებით მეთორმეტე საუკუნეში ჩნდება“ *); „იგი (თემი) ხან სამეფოს, ხან ქვეყნის, მხ: მ.

ხან ხეობის მიგეირ არის ნახმარი. მაგრამ თუ ასე იყო თავდაპირველად, შემდეგში მას უფრო გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭა. მან თავისებური ელფერი მიიღო... შემდეგში ხომ უფრო მკაფიო ცნების აღმნიშვნელად იქცა და „თემი“ ერთის ტომით დასახლებულს, განსაზღვრულს საგეოგრაფიო საგამაგო ერთეულს ეწოდებოდა და ახლაც ასე ეწოდება**).

ასეთ ცნობას გვაწვდის ისტორია სიტყვა „თემისა“ და მის რაობაზე საქართველოში. სხვა რაიმე მასალა თემის ფუნქციების შესახებ ამ დარგიდან ჩვენ ხელთ არა გვაქვს. სამაგეოროთ საამისო საბუთები მოგვეპოვება ილია ჭავჭავაძის „მკაზარის წერილებში“, ა. ყაზბეგის რომანებში და რამოდენიმე ვაჟაფშაველას პოემებში.

დასახლებულ მწერალთა ნაწერებიდან შესაფერი ადგილების მოყვანით, ჩვენ ნათლად დავინახავთ ძველი თემის ნამდვილ სახეს, გავცნობით აგრეთვე მის დადებით და უარყოფით მხარეებსაც.

მაგრამ აქ ზუნებრავთ იბადება შემდეგი კითხვა: თემი საზოგადოებრივი ცხოვრების ძველსძველი ორგანიზაცია იყო და შემდეგმა მისმა განვითარებამ სახელმწიფო მოგვცა, ილია ჭავჭავაძე და ყაზბეგი კი ლაპარაკობენ იმ „თემის“ შესახებ, რომელიც მთიულეთში არ სეპარბდა რუსული მართვა გავგებობის დამყარებამდე. რაშია საქმე? რამ შეარჩინა მთიულეთს თემობა? ან ეგების მთელი მაშინდელი საქართველო სათემო წესწყობილების საფუძვრამდე იყო მღწეული და საქუთარი სახელმწიფო არ შეუქმნია მას?

როგორც უკვე დავინახეთ, სიტყვა „თემი“

*) ქართული სამართლის ისტორია, 1919, ***) იქვე, გვ. 10.

ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში შემოსულა მეთორმეტე საუკუნეში; ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვის შინაარსი კარგა ხნით აღრე ყოფილა თვით რეალურ ცხოვრებაში და მხოლოდ შემდეგ შეტანილა მწერლობაშიც.

სტრაბონის მოგზაურობიდან ვიცით, რომ დაახლოვებით ქრისტეს დროს საქართველოში გვაროვნული წესწყობილება იყო; გვაროვნული წესწყობილების შემდეგ საფუხრად თემი ჩნათულა, ვინაიდან ეს ორგანიზაცია რამდენიმე ვართა შეკავშირების ნაყოფია. თემი თავის მხრე ფეოდალიზმში გადადის, ფეოდალიზმი კი ჩვენში ძლიერდება თამარის დროს, მე-XII საუკუნეში.

ასე რომ თემური წესწყობილება საქართველოში იქნებოდა მეცხრე-მეათე საუკუნემდე. შემდეგ კი თან და თან საქმე გადაეცა უფრო რთულ საზოგადოებრივ ორგანიზმთან — სახელმწიფოებრივთან.

მაშ მთიულეთში რამ მიაღწევია ამ წესს რუსების შემოსვლამდე, ე. ი. მეცხრამეტე საუკუნემდე? ეგების ეს ერთგვარი იდეალიზაციის შედეგია ჩვენი მწერლების მხრივ? რომ აქ მართლაც საქმე გვაქვს ერთგვარი იდეალიზაციასთან, ეს მართლაც ფაქტია, მაგრამ ისიც უდავო ფაქტია, რომ მთიულეთში მეცხრამეტე საუკუნემდე მართლაც არსებობდა თემობა, ამას ამოწმებს ჩვენი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე.

თუ რა სახის იდეალიზაციასთან გვაქვს საქმე ჩვენი მწერლების ნაწერებში, ამაზე ჭკვიან ვიტყვით, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ მთიულეთში თემური წესწყობილების შენახვის მიზეზი ამ კუთხის ჩამორჩენილობით უნდა იხსნას. ვინაიდან ეს მხარე გეოგრაფიულად განსაკუთრებულ პირობებში იყო და თავისი მდებარეობის გამო ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკადლებში მას ნაკლებად წვდებოდა, ამიტომ იქ ყოველთვის საშინელი კონსერვატიზმი ეფუძნება; კონსერვატიზმი ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიურიც. ეს არა თუ ძველად, ახლაც ასეა და ამიტომ იყო, რომ თემობამ ამდენი ხანი იცოცხლა აქ.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთ მიყრდნულ ადგილებში, როგორც მთიულეთში, ბევრისგან ბევრი ძველი რამ არის დარჩენილი „წარსულთა ჟამთა“ წესწყობილებისაგან. მოგახსენებთ, რომ ცნობილია სოციალიზმი მაქს. კოვალენკოვი ძვირფასი მასალები აღმოაჩინა პატრიარქალური ეპოქის ნათელსაყოფად სენიში, რომელიც ჩამორჩენილი და ყოველ მხრივ კონსერვატიზმით ყოველგვარ რეკორდს გადალახავს.

მაგრამ... ფიქტობ, რომ მკოთხეული გავგერეგებულია და მხრების აჩრით კითხულობს: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი გამაგებინეთ — რა არის საერთო დღევანდელსა და უწინდელ თემს შორის? ნუ თუ უკან დავბრუნდით მისსაღის მაგეირ! განა ამ გზით მივეყვართ თქვენს ქმედულ დემოკრატიზმს?

კითხვა სამართლიანია, მაგრამ დამკვიყოფალებელი პასუხის მიღება წერილის მოლომდე არ შეიძლება. ჯერ ვიცდებით ძველ თემს შევასხა ხორცი და მისი ნამდვილი სახე ავადვანოთ. ამ საქმეში დაუფასებელ სამსახურს გვაგვიწევს ჩვენი კაზმული ლიტერატურის კორიფეები.

ბ.

კიბა აბაშიძის სიტყვით რუსების საქართველოში შემოსვლისთანავე მათის ხელით „პირველი უწყალა ნასროლი მოხვდა თემის ნიშნისა“, ხალხის თავისებურობას პოლიტიკურ გამართულობას და დაარდნა ეს მშვენიერი ნაშთი, ეს საუცხოო თესლა მომავლის პოლიტიკურ განვითარებისა... *) აი ამ „თემის ნიშნისა“ არის რომ ასე გულამოსკენილი მისტების ილია ჭავჭავაძის „მკაზარის წერილებში“ მოხვევა.

— აწინა?.. ერობა სადა არ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის, — ამბობს იგი.

— აღრივა ავად თუ კარვად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ აღრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაქი ვაუბდის, ქალაი ქალობდის. აღრიდა?! ერთ ერთს დავიყუდნით, ერთ ერთს ვიხვეწებდით. აღრიდა?! ქვერე ობოლთ ვიფარავდით, შინ მიწრიულს, ვარე მვენეს დავლაგდით, ხთისა და ბატონის იასაულის მის ყუდროს არ მიგკოძნდით, ერთ ურთს ლად მტერთან ჩავაფარვდით, დაცემულ ვიურეგდნით, ატიროდობდის ვიხიშინდით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ერთობი. აწინა ერობა დიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდის... ერი დავარდნილ, ვალახულ არნ, ვროდობილ-კრთობილ, წახდა ქართველთა სახელი, ქართველთა წეს-წყობაი...

*) ეტულები, ტ. II, გვ. 171.

ასე გოდებს ილიას მოხვევა „მკაზარის წერილებში“ პობის გამო. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ერობა იგივე თემის ნიშნია, თეური წესწყობაა. აღ. ყაზბეგი პირდაპირ ხმარობს ამ სიტყვას.

რა ფუნქციები ჰქონია თემობას?

მოხვევის სიტყვიდან აშკარად სჩანს, რომ თემი ყოფილა მთიულების მთელი ცხოვრების ბატონ-პატრონი და მომვლელ-მომწესრიგებელი. ხალხის კარ ვარამის გავება და შესაფერი წამლის დადება, ღარიბების დახმარება ცფხზე დაყრება, ხალხის მტერთა და ორგულთა ალაგვანი — აი რა ყოფილა თემის საზრუნავი საგანი.

— რადეს ატყდეს ერობაჩი დიდ დევა, დიდ-საქმე, დიდ არჩევანი, ერობას აქვდ გამართვინ, — ამბობს იგივე მოხვევა, რომლის სიტყვით: „რაივ მერედ სამების სახელათ, ხთისგან მოთხოვნილ მადლით ივენ ბქენი სთქმიან, ვადასქრიდიან, არვან შეშლიან, არვინ ვადავლიან“.

ასეთი იყო სქემატიურად თემის ფუნქციები და ავტორიტეტი, თემი უზუნაევი სახალხო მმართველობის ორგანიზაცია იყო და ყველა მას უნდა დამორჩილებოდა. იქ უზრალეობდა როდით ირჩევდნენ, იმავე მოხვევის სიტყვითა ერობაში „აარჩივინ ბქედა ბრძენ-ბერ კაცნი, პეიტრობით სახელ-დებულნი“.

ი. ჭავჭავაძის ამაზე მეტს ვერას უნახავთ თემის დასახასიათებლად. სამაგიეროდ აუარებელ მასალას იძლევა ამ წესის მალმკრეპული აღ. ყაზბეგი თავის უკდავ რომანებში. ყაზბეგის თემი იდეალიზტიზის შარავანდოდათ არის შემკობილი და ურულეს წეს-წყობად გვეჩვენება. მაგრამ ჯერჯერობით ვალაპარაკათ თვით ბელეტრისტი. მოვავლოთ რამდენიმე ადგლი „მოძკარი“ დან. ონისეი გაგიყებით უყვარს გელას კონონიერი ცოლი მაყალა. სიყვარული იქამდის ძლიერდება, რომ ონისეი ვადას-წყვეტს მაყალას ვატყებას. მაგრამ ეს აქტა თემის საწინააღმდეგო რეკულემის ქამრად იქნება. ამიტომ ის მალავს თავის განზრახვას და ისე უნდა ცხერის ჯოგის ვაყადვა და თემიდან საყვარელთან ერთად ვაპარვა. მაგრამ ყაზბეგის სიტყვით: „როდესაც თქმა შეიტყო ონისეს განზრახვა, მან მოისურვა თავის წყვარის ანგარიშის მოთხოვა და გამოჩენა იმ უფლებისა, რომელიც პირადების შინაურ საქმეებშიც კი ეროდა.“*) ონისეს პასუხი მოსთხოვა თემმა: „უფროსები შეიყარნენ არა მარტო იმ აზრის ხელმძღვანელობით, რომ მათ ჯალაობობას ერთი შექმლებული ოჯახი ავადდებოდა, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ერთის მოქმედება სხვებისათვის სამაგალითოდ არ გამხდარიყო და ერთხელ შეწყული საერთო ოჯახის მშვიდობიანობა მრავალთა მოშორებით სრულიად არ შესუსტებულიყო“.

თემი ყაზბეგის აზრით ერთგვარი ოჯახი, კოლექტიური ცხოვრულია, რომელიც თავის წევრთა პირად ცხოვრებაშიც კი ერევა, მისს სულსა და გულსაც კი კონტროლს უწევს და ცდილობს განუშორებლივ შეიძლოს იგი.

თემის წინაშე წაყენებულ ონისეს შესახებ ასე ლაპარაკობს ფარეშა: „ონისე! თემიმა კარვად გიცნობს და ვაფასებს კიდევ... დვის მადლმა კი ბიქი ხარ, მაგრამ გონჯიც რომ ყოფილიყავ, მაინც გულში ექნებოდი, გულიდან ვერ ამოგვრებდა... ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი... თავდაც გასმოდა ესა და მეზობელი ვაჭირებში არ დავიგდებია, რომ არ გეშველა! სტუმარი არ გავიშვია, რომ მასპინძლობა არ გავწვია! თემს არ ვასპირებია ისე, რომ მდევრად შენ არ გვენახე, არ ვაგატეხია ხალხის პირი და, დაუხარებელს მუშას, მუდამ ვაქვაცად გიცხოვრია“.

ამ სურვილით გულ აჩუყებულმა ონისემ ხალხის წინ ქული მოიხადა და წამოიძახა:

— ხალხო, თქვენამც შემოგვგლოსთ ონისეს თავი! ონისე მოკვდეს და თქვენ იცოცხლეთ! დვის მადლმა მაგ სიტყვების ღირსი არაა ონისე! რაი მიქნია, რაი მისახურია! ყველა თავადა ყოფილხართ ჩემი შემწე, ჩემი მომშველბელი... ღმერთს ლუკმა პური მოუცია და ეგ სულ თქვენი წყალობაა! თქვენმც, აგრემც შემწევის უფალი!

— მოიცალ! გააწყვეტინა ფარეშა: პი, პი, რომ თემობა ბევრს შეგვიქია! პი, პი, რომ კაცი თემობას დაშორებული ვერ იცხოვრებს! რას იქმ მარტო კაცი? მარტო კაცი ბეჩავია... ბიქა! თემობა შევილად გიყურებს და თემობამც იცის, რომ ვაჭირებმა მოგდგომია და თავისიანს უნდა გიშველო! თუ ვაჭირებმა არ გქონდეს, ოჯახს არ მოშლიდი, რაი მოგივლია, უთხარ შენს ძმებს“.

ამ სიტყვიდან აშკარაა, თუ როგორ ზრუნავდა თემი თითოეულ თავის წევრის შესახებ და თითო პიროვნებაც რა ანგარიშს უწევდა თემს. ონისე, როგორც ვხედავთ, ერთიანად გამსკვალულია კოლექტივის პატივისცემით

*) ყაზბეგი, ტ. III, 1891, გ. 125.

ქ. ტფილისის მე-20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბარბარე ტერენტის ასულის სახეობის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სახეობის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1556 1-1

ქ. ტფილისის მე-20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ოვსანა ტერ-უხარაინცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება უხარაინცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1554 1-1

სისხ. სამ. წარმ. წესდ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით სოხუმის საგანგებო სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ს. ორემი რომის მცხოვრებს ისაკ ძოკოს ძე ხუნტუას. ნიშნები: 25-26 წლ. საშუალოზე დაბალი, შავი პირისაზე, შავი წარბები, შავი თვალები. ვეგლა, ვინც იცის სად არის ხუნტუა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გადასცენ საოპიკუნო გამგეობას. 2081 1-1

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. მე 846, 847, 851, მუხ. ძალით სოხუმის ოლქ. სასამ. დადგენილებით ეძებენ ქ. ხონის მცხოვრებს ალექსანდრე პეტრეს ძე ბარაბაძეს. ნიშნები: 33 წლ., საშუალოზე მაღალი, სუფთა პირისაზე, ქერა თმა და წარბები, საშუალო ცხვირი, თაფლის ფერი თვალები. ვეგლა, ვინც იცის სად ცხოვრობს ბარაბაძე, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საოპიკუნო გამგეობაში. 2080 1-1

ახალქალაქის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს სოფ. ხორენის მც. გარდაცვალებულის გეორგი აკოპის ძე სარქისიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სარქისიანის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2015 1-1

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით, სოხუმის ოლქ. სასამ. დადგენილებით ეძებენ ქ. ხონის მცხოვრებს ერმალოზ ნესტორის ძე ბარაბაძეს. ნიშნები: 30 წლ. საშუალო სიმაღლის, სუფთა პირისაზე, თმა და წარბები ქერა, ცხვირი საშუალო, თვალები ნაცრის ფერი. ვეგლა, ვინც იცის სად ცხოვრობს ბარაბაძე, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გადასცენ საოპიკუნო სამართავლოს. 2080 1-1

ახალქალაქის სამომრიგებლო განყოფილების მოსამართლე იწვევს ს. ხორენის მცხოვრების გარდაცვალებულის ოპანეს აკოპის ძე სარქისიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სარქისიანის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2016 1-1

ქვათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მუხ. სამოქ. საქ. წარმ. წესდებისა, იწვევს მემკვიდრეებს 27 დამამბერს 1918 წ. გარდაცვალებულ მცხ. სოფ. შუქურთაში, შორაპნის მაზრისა, -მერაბა ნიკოლოზის ძე ჩაჩანიძისა, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებული ჩაჩანიძის დანაშთი ქონებაზე მე-1241 მუხ. X ტ. 1 წ. კან. კრებ. აღნიშნულ ვადაში. 180 1-1

ხარაგაულის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გიორგი ბეჟანის ძე ღონდაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ღონდაძის ქონებაზე ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების დასტამბვისა. 297 1-1

ქ. ქუთაისის პირველ წყალ-გაღმა მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ივლიანე დიანოვის-ძე აბუნიანიძის ქონების მემკვიდრეობის, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის აბუნიანიძის ქონებაზე. სამოქ. კან. კრებ. მე-7 ტ. 1 ნაწ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 096 1-1

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ძველია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ს. რიონსა და შორაპნის შუა პასპორტი, რომელიც გაუქმებულია ჩაითვალოს. 14 3-1

ლევან არუთინის ძე გაბრიელიანი აცხადებს, რომ დეკემბრის 31, 1919 წ. მის სახელიდან გაიპარა, მეტყვე (შუშანიკ ეგვიპტისა) და თან წაიღო ძვირფასი ნივთები, მათ შორის მეტრიკული მოწმობა და პასპორტი, რომელიც გაუქმებულია ჩაითვალოს. 15 3-1

დაკარგულია პასპორტი, მიცემული ქალ. ლოდის პრეზიდენტის მიერ ელენე ედმუნდის ასულის ვერის სახელზე, პასპორტი გაუქმებულია ჩაითვალოს. 17 3-1

გაიკ გასპარის ძე ბაღდასარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მხლიციის სახმართველოდან, მეტრიკული მოწმობა მიღებული ქ. ერევნის კონსისტორიიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული მაგილგის გუბერნი. 117 იარაღის პოლიცის კანცელარიიდან. საბუთები გაუქმებულია ჩაითვალოს. 6 3-1

დაკარგული მცირე სიჩქარის „ნაკლადნი“-ს დღეღიკატი სოფიო კიკნაძის სახელზე, გაუქმებულია ითვლება. 7 1-1

დაკარგულია პასპორტი ამიერ კავკასიის უკრაინის რადის კანცელარიიდან ივანე მოკიციის ძე ნედანის სახელზე, მიცემული პასპორტი გაუქმებულია ჩაითვალოს. 8 1-1

გეორგი გიორგის ასული გარსევანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი. შპონგელს სოხოვეს გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით: საბურთალოს, გარსევანიშვილს, მე-13 კომისარიატი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულია ჩაითვალოს. 9 3-1

სუსანა ივანეს ასული ხვედელიძე აცხადებს, რომ მან გორონცივის ძეგლთან ამოცალეს საფულე ფულით (300 მან.), პასპორტი და პირადობის მოწმობა მე XII კომისარიატიდან აღებული. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულია ჩაითვალოს. 497 3-1

თადეოზ გუჯას ძე შენგელია ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების და პირადობის მოწმობა № 61. ფოთის სახალხო გვარდიის შტაბისაგან მიცემული. და აგრეთვე რკინის გზის უფასო ბილეთი, რაც გაუქმებულია ჩაითვლება. 6 1-1

მიხეილ გრიგოლის ძე ეტიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წყნორის წყლის ახლოს ფულათ 820 მანეთი, პეტერბურგ-იაროსლავის საბირეო არტელის ხელწერილი 1365 მანეთის საქართველოს რკინის გზის სამმართველოდან აღებული მოწმობა, იმაში რომ ეტიანი იყო, ყოფილი ამიერ კავკასიის სახაზინო გზების მთავარი კასის არტელში და პასპორტი აღებული რუსების ეროვნულ საბჭოდან. შპონგელს სახოვეს დააბრუნოს დოკუმენტები შემდეგ მისამართით: ტფილისი რომანოვის ქუჩა № 27, ან ს. წყნორის წყალი, ერობაში თამა მიხეილის ძე კეკელიშვილს, ფული კი თავის სასარგებლოთ დაიტოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთები გაუქმებულია ჩაითვალოს. 16 3-1

ქ. ტფილისის 20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ამა წლის 1 ნოემბერს გარდაცვალებულ გუსეინ გაჯი მუსტაფა ოღლი შინმართვის მეკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ვართანიანის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში. 492 1-1

ქ. ტფილისის მე-6 სამომრ. უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბარბარე არტემის ასულის ბაბანასიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ბაბანასიანის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-2241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 438 1-1

სოხუმის ოლქ. სასამ. ცნობებს ოლედი დიმიტრის ასულს ბაბილევის, რომ მის გირავნობის მოწმობის დასაფარავათ, რომელიც დამტკიცებულია 1902 წ. იანვრის 16 სრესტ. № 12 ლეშა ალექსანდრეს ასულის ფილკოვსკის მამულზე, მდებარე ქ. სოხუმში, ამ მამულის ეხლანდელმა პატრონმა იოსებ რუჟიციკიმ შეიტანა სოხუმის ხაზინაში სოხუმის ოლქ. სასამ. დეპოზიტში 7640 მ., რომელის მისაღებათ მას შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში. 359 1-1

კონსტანტინე იაგორის ძე ცოვიანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიწის კუთვნილებისა. მიწული მდებარეობს „ვაკეში“, ტფილისის მაზრა და აღნიშ. ტფილ. ოლქის სასამ. აღმასრ. ფურცელში 1904 წ. 1 დიკემ. რესტრი № 338. 486 3-3

სუსანა ივანეს ასული ხვედელიძე აცხადებს, რომ დაჰკარგა პასპორტი № 21,868, რომელიც გაუქმებულია ჩაითვალოს. 497 3-2

გიქტორ თეოფილეს ძე დვალი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის მე-4 ხე უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების ატესტატი და ს. ზედაშავრის ეკლესიის მიერ მიცემული მეტრიკული მოწმობა. ატესტატი და მოწმობა გაუქმებულია ჩაითვალოს. 5 3-2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარია ბანდარენკო შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი პავლე ბანდარენკო, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1906 წ. 25 აგვისტოს, უკვდავად დაიკარგა 1917 წ. 7 აპრილიდან, ვეგლა, ვინც იცის დაკარგული პავლე ბანდარენკოს მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონის ძალით ვალდებულია განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 847 3-3

ეფიმი ისაკოვის ძე კოკიელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უფადო პასპორტი, № 3000, აღებული ყოფილ ტფილ. პოლიციემისტერის კანცელარიიდან 1913 წ. მაისის 17. პასპორტი გაუქმებულია ჩაითვლება. 500 3-3

ტროფიმე ნიკოლოზის ძე ბოცვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის მაზრის გამოჩინებულის საზოგადოების კანცელარიიდან აღებული პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, რომელიც გაუქმებულია ჩაითვალოს. 498 3-3

პართენ ნიკოლოზის ძე სამარაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე ფულით, პასპორტი, ავღაბრის რაიონში აღებული, პატრიული წიგნაკი და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა აღნიშნული საბუთები გაუქმებულია ჩაითვალოს. 2 3-3

ნიკოლოზ სოლომონის ძე ტარალაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და ტყვეობის ბილეთი, რომელიც გაუქმებულია ჩაითვალოს. 3 3-3

იოსებ ივანეს ძე დიციანი მიწვეულია სოხუმის ოლქ. სასამართლოში 2900 მან. მისაღებათ, რომელიც სასამ. დეპოზიტში შეიტანა არტემ მინასიანმა იმ გირავნობის დასაფარავათ, რომელიც დადებული იყო პოლოს კატუნოლიანის მამულზე, დამტკიც. 1910 წ. ივლისის 31-ს, რესტრი № 2196. 229 1-1

ფოთის მხლიციის სამმართველო აცხადებს, რომ ინტენდი ვალდვი მოსეს ძე იულივიჩს დაჰკარგა მისი უფადო ბაშფორთის წიგნაკი, გაცემული, სურათ-ს ქალაქის სამმართველოდან ჩერნიგოვის გუბერნიაში, 15 აგვისტოს 1915 წ., რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 320 1-1

ქვემო-ქალის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებული დავით ლუარსაბის ძე ამილახვარიანისა, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია მე-1241 მუხლში მეათე ტ. 1 ნაწ. სამოქალაქო კანონებისა. 495 1-1

ქ. ტფილისის 20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ამა წლის 1 ოქტომბერს გარდაცვალებულ ტიგრან იაგორის ძის ვართანიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ვართანიანის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში. 491 1-1

სტუდენტი იაკო სიგუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული № 162, გაუქმებულია ჩაითვალოს. 3-1

სამართლოს რესპუბლიკის ტყის

რევიზორი პირველი რაიონისა ამით აცხადებს, რომ 9 თებერვალს 1920 წ. შუადღის 12 ს. ქ. თელავის სამაზრო ერობის ბინაზე შესდგება საჯარო ვაჭრობა გაუმეორებლად, დაბეჭდილია განცხადების დაშვებით, გასაყიდათ 500 წიფლის ხესა №-ით 1-500 ბოჭკის ფიცრით, კისიხვის დაბაში, თელავის სატყეო უწყებისა. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 313265 მანეთიდან. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება რევიზორის კანცელარიაში ქ. თელავში.

ანისი სერგის ასული ფარინა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც აღებულია სოფ. ხევის მოწმობა და ასი მანეთის კვიტანცია. აღნიშნული მოწმობა გაუქმებულია ჩაითვალოს. 1 3-3

ქეთევან გიორგის ასული მელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის ექვსი კლასის გათავების სოწმობა, რომელიც გაუქმებულია ჩაითვლება. 13 3-2

ივანე დავითის ძე სახუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უფადო პასპორტი № 1948 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული ქუთაისის სამხედრო ბეგრის უფროსის კანცელარიიდან. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულია ჩაითვალოს. 499 3-3

კონდრატ დავითის ძე სტაფაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან, მოწმობა მიღებული ბუგეულის საზოგადოების კომისიისგან. საბუთები გაუქმებულია ჩაითვლება. 494 3-2

ივანე ვაგარშაყის ძე მუკაელიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ამაზისის სოფლის სამმართველოდან, ალექსანდრე. მაზრა. 484 3-2

მიხეილ არტემის ძე ნარსესოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა აღნიშნული ტფილისის ნოტარიული არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მაისის 30, 1885 წ. № 595. სიმტკიცის მოწმობა გაუქმებულია ჩაითვლება. 461 3-3

სიმონ მიხეილის ძე დოლაბერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული თელავის ქალაქის გამგეობიდან. პასპორტი გაუქმებულია ჩაითვლება. 10 3-3

დაკარგულია პასპორტი № 3438, აღებულია თამარა ალახვერდოვის მიერ ყოფილ ერევნის მდამო მოქალაქეთა სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულია ჩაითვლება. 505 3-1

გეტოქ მატინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი, რომელიც გაუქმებულია ჩაითვლება. 839 3-3

შალონ შაბათის ძე გურიელაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საზღვარ გარეთ გასაცვლელი პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან № 1291. პასპორტი გაუქმებულია ჩაითვალოს. 485 3-3

ქუთაისის ქალაქის მხლიციის სამმართველო დანიელის ძე თანახმად ნუკუერა ქაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაჰკარგავს მისი მამის დანიელ ენუქაშვილის მიერ დატოვებული ვექსილის ბლანკები შემდეგი პირებისაგან ხელმოწერილია: არონ იოსების ძე მიხეილაშვილისაგან 4000 მანეთისა და ისან კვაჭარავასაგან 13000 მანეთისა და იმა უკანასკნელისაგან ერთი ვექსილი 2000 მან., რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსიდან, სოხოვის შპონგელს აღნიშნული ვექსილების წარმოდგინონ მხლიციის სამმართველოში ჩასამარტებლად კუთვნილებისამებრ. 328 3-3

ალექსანდრე ალექსის ძე რეზვიაკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 4589 აღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან, რომელიც გაუქმებულია ჩაითვლება. 12 3-3

გერასიმე ალექსის ძე ვაშაკიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უფადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციემისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულია ჩაითვალოს. 3-3 501

ილია ქრისტესის ძე ტლაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან და მოწმობა მიღებული კახეთის რკინის გზის მთავარ სახელისნოს უფროსისგან საბუთები გაუქმებულია ჩაითვალოს. 424 3-3